ნესტან სულავა

სამი სიწმინდე ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავსა“ და საგალობლებში

ქართველი ერისათვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი თხზულების „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თავდაპირველი ვერსია, როგორც თვით ტექსტი მოწმობს, IV საუკუნეში უნდა შექმნილიყო, მაგრამ მან სახეცვლილი რედაქციით მოაღწია ჩვენამდე. იგი მოგვითხრობს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე საქართველოს მოქცევის შესახებ, მასში დასმული საკითხი და მოთხრობილი ამბავი კონცეპტუალურია ქართველი ერისათვის, რაც რამდენიმე ავტორის თხზულებაში მისი ასახვისა და ქართლის მოქცევის შესახებ სხვადასხვა საღვთისმეტყველო ჟანრის რამდენიმე თხზულების შექმნის საფუძველი გახდა. საქართველო უფლის რჩეული ქვეყანაა, სადაც მაცხოვრის კვართმა, ჯვარცმის ჯვრის ფიცრის ნაწილმა და ჯვარცმის სამსჭვალმა დაივანა, იგი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრილია, აქ იქადაგეს მაცხოვრის მოწაფეებმა, რასაც როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები გადმოგვცემენ. მესიანურმა იდეამაც ქართულ მწერლობაში ყოველივე ამის საფუძველზე პოვა ასახვა.

ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში, რომელიც ერთ-ერთი ბოლო ვერსიაა ქართლის მოქცევის შესახებ დაწერილ თხზულებათან, სათაურშივეა გამოტანილი სამი სიწმინდე („საკითხავი სუეტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“), რომელთა სიმბოლური მნიშვნელობისა და ერის იდენტობის განსაზღვრისათვის თითოეული მათგანის ღირებულების შესახებ ცალ-ცალკე ვისაუბრებთ.

1. უფლის კვართის შესახებ რამდენიმე ქართული თხზულება მოგვითხრობს და ყველგან თითქმის ერთნაირადაა გადმოცემული, რომ მან საქართველოში, მცხეთაში დაივანა, სადაც შემდგომში სვეტიცხოვლის ტაძარი აიგო, რითაც გამეღავნდა ღმერთის დამოკიდებულება ქართველი ერისადმი. უფლის კვართის ერთიანობა და განუყოფლობა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის ატარებს სიმბოლურ ხასიათს, რადგან იგი ქრისტიანული სამყაროს განუყოფლობას, ერთიანობას მოწმობს.

უფლის კვართის სიმბოლურობის უმთავრესი საფუძველი ძველ აღთქმაშია საძიებელი. როდესაც ღმერთმა ადამი და ევა თავდაპირველი სამყოფლიდან, სამოთხიდან გამოაძევა, *„უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსნა მათ“ (შეს. 3:21)*, ღმერთის მიერ ედემიდან განდევნა მათთვის ღვთის რისხვის შედეგია, ღვთის სასჯელია. სწორედ ბიბლიური ნარატივის სიმბოლურობა გახდა საღვთისმეტყველო ლიტერატურაში სამოსლის ღვთივსულიერი გააზრების საფუძველი. უფლის კვართი და ღმერთის მიერ სამოთხიდან გამოდევნილი ადამისა და ევას ტყავის სამოსელი ბინარული ოპოზიციაა; ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან, როგორც „პირველი იგი კაცი“, რომელიც აკრძალული ნაყოფის გემოვანსხილვისა და პირველცოდვის ჩადენის გამო განგდებულ იქნა სამოთხიდან, და „მეორე იგი კაცი“, რომელმაც გამოისყიდა უწინარეს ყოვლისა „პირველი იგი კაცის“, შემდეგ მთელი კაცობრიობის ცოდვა. ამიტომ ნათლისღების შედეგად ყოველი ადამიანი პირველცოდვისაგან განიწმინდება. წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ შესაქმის წიგნის ინტერპრეტაციაა, იგი გვაუწყებს: *„შემიკერნა ტყავისა სამოსელნი ცოდვამან ჩემმან და ღმრთივქსოვილი სამოსელი განმძარცვა. მმოსიეს მე სამოსელი კდემისა, მსგავსად ლეღვის ფურცელთა, მხილებად თჳთმფლობელთა ენებათა“– „განვბძარე მე პირველი სამოსელი, რომელი პირველითგან მიქსოვა ღმერთმან და ვსძე მე შიშველი. მმოსიეს მე ხენეში კუართი, რომელი მიქსოვა გულმან ედემს განზრახვითა და კდემულ ვარ შენგან“* (წმ. ანდრია კრიტელი, 2002: 34-35). ტყავის სამოსელი ცოდვის სამოსელია, უფლის კვართი „ზეითგამო ქსოვილია“, წმინდა სამოსელია, რომელიც წილად ხვდა საქართველოს და აქ დაივანა.

კვართის, და ზოგადად, სამოსლის წილისყრის წინასწარმეტყველება ძველი აღთქმის წიგნებიდან, დავით და ესაია წინასწარმეტყველთა წიგნებიდან იღებს სათავეს, ხოლო მათეს სახარება შეგვახსენებს მათ მიერ ნათქვამს და ჯვარცმული ქრისტეს კვართის წილისყრის შესახებ გვამცნობს: *„და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი წინასწარმეტყველისა მიერ, რომელსაცა იტყჳს: „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“* (ფს. 21, 19)“ (მთ. 27, 35; შდრ.: მრ. 15, 24; ლ. 23, 24), ხოლო იოანეს სახარება ღრმა სიმბოლოებით განმარტავს კვართის განუყოფლობის, დაუნაწევრებლობის მნიშვნელობას: *„და ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესუ, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რამეთუ იყო უკერველ, ზეითგამო ქსოვილ ყოვლად, თქუეს უკუე ურთიერთას: არა განვხიოთ ესე, არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვისაცა იყოს, რაჲთა აღესრულოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“. ერისაგანთა მათ ესე ყვეს“* (ი. 19, 23-24). წმ. იოანე ოქროპირმა წმ. იოანე მახარებლის სიტყვები შემდეგნაირად განმარტა: *„ხოლო სიტყუაჲ იგი, თუ „ზეით მოქსოვილ“, არა ცუდად არს, არამედ ვჰგონებ, თუ ივავი არს, რომელი მოასწავებს, ვითარმედ არა ლიტონი ოდენ კაცი იყო ჯუარს-ცუმით, არამედ ზეციოცა ღმრთეებაჲ აქუნდა, რომელ-იგი ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ უნებელად ეგო და განუკუეთელად, ხოლო ჯორცთა ბუნებამან ივნო და მოიწყლა. და*

კუალად ვიეთნიმე იტყჳან, ვითარმედ სახესა მასცა სამოსლისასა მოასწავებს მახარებელი, რამეთუ პალესტინეს ორთა სამოსელთა შეაერთებენ და მოჰქსოვენ ერთად და შეიქმან მას კუართად და უწოდენ მას ზეით მოქსოილად. და თქუა იგი მახარებელმან, რაჲთამცა მოასწავა უნდოებაჲ იგი მისი, რამეთუ ეგევითარი იგი კუართი უნდოჲ არს, რომელი–იგი სახე იყო პირველთქუმულისა მის სიტყჳისაჲ, რომელ ვთქუთ ამისთჳს ზეით მოქსოვილისა" (წმ. იოანე ოქროპირი, 1993: 309).

უფლის კვართი ღვთის განგებით მოხვდა საქართველოში. ამის თაობაზე ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი" საგანგებოდ მოგვითხრობს იმ ტრადიციათა კვალობაზე, რაც სათავეს იღებს „მოქცევაჲ ქართლისაჲდან" და რაც აბიათარ მღვდლის მონათხრობით არის მკითხველისათვის ცნობილი. უფლის კვართის საქართველოში მოხვედრა ქართველი ერისადმი ღვთის დამოკიდებულებამ და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი მისმა წილხვედრილობამ განაპირობა: *„ხოლო კუართსა მას ზედა უფლისასა წილიგდეს უღმრთოთა ჰურიათა ჯუარსცუმასა უფლისასა და განგებულებამან ღმრთისამან მიასუედრა მცხეთელთა ჰურიათა, არათუ კეთილთმოქმედებისა რაჲსათჳსმე ღირს იყვნეს უღირსნი იგი. გარნა იგივე ღმერთი განგებულებით წინაჲსწარვე განაგებდა, რომელი ცხორებისათჳს ჩუენისა ქუეყანად გარდამოჴდა, რამეთუ წინაჲსწარვე განეგო სახიერსა მას ამისა სამეუფოჲსაჲ ერად საზეპუროდ შემზადებაჲ, და ვინაჲთგან ნაწილიცა იყო ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, ამისთჳს უფროჲსცა ღირს იქმნა ამას საშინელსა მადლსა ესე კედარი. ამისთჳსცა უკუე წინაჲსწარვე წარმოაჳლინა მადლი ღმრთეებისა მისისაჲ, რაჲთა პირველადვე დაიწინდოს კუართითა მით და მადლითა ღმრთეებისა მისისაჲთა"* (გულაბერისძე, 2007: 14). ნიკოლოზ გულაბერისძე მცხეთაში უფლის კვართის მოტანისა და ელიოზის მიერ დისთვის მისი გადაცემის ამბის მოთხრობის შემდეგ ელიოზის დის სულის წარხდომის სამ მიზეზს ასახელებს: *„პირველად უკუე — უფლისა სიკუდილისა და ვნებისა მისისათჳს; მეორედ — რამეთუ ეზიარა ძმაჲ იგი მისი სისხლსა უფლისასა; ხოლო მესამედ — ვინაჲთგან მოეკჳნა დედისა თჳსისა იგი მწუხარებით სიკუდილი, ვინაჲთგან უკუე ყოველივე მწუხარეაჲ ერთბამად შემოუკრბა. ამისთჳსცა ძლეულ იქმნა ბუნებისაგან კაცობრივისა და სიკუდილი დაესაჯა ლმობილსა მწუხარეებათაგან ფრიადთა"* (გულაბერისძე, 2007: 15). აქ ელიოზის დის გარდაცვალების სამი მიზეზია ჩამოთვლილი: 1. მაცხოვრის ვნება და სიკვდილი; 2. ელიოზის ზიარება მაცხოვრის სისხლთან, რაც ზიარების საიდუმლოს არ ნიშნავს; 3. მაცხოვრის სიკვდილის გამო დედის გარდაცვალების გახსენება; ეს მიზეზები ერთად შემოაწვა ელიოზის დას გულზე ჯავრად, ადამიანური ბუნებისაგან იძლია და მწუხარებისაგან გარდაიცვალა. ელიოზის დის გარდაცვალების მიზეზები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ დასახელებული საბუთები ელიოზის დის მიცვალების მიზეზად წარმოაჩენს უფლის ვნებაში მცხეთელ ჰურიათა წილის, ბრალეულობის ქართული წყაროების ტრადიციისაგან განსხვავებულ ვერსიას, რომლის მიხედვით ისინი თანამოზიარენი არიან მაცხოვრის წამებისა: *„პირველად უკუე — უფლისა სიკუდილისა და ვნებისა მისისათჳს, მეორედ — რამეთუ ეზიარა ძმაჲ მისი სისხლსა უფლისასა"* (გულაბერისძე, 2007: 15).

ეს შეხედულება ეწინააღმდეგება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ვერსიას, რომელიც მცხ-ეთელ ჰურიათ თავიდან აცილებს მაცხოვრის წამებისას დაღვრილი სისხლის გამო პა-სუხისმგებლობას. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ-ჭელიშური რედაქცია, ლეონტი მროველისეული და არსენ ბერისეული რედაქციები „წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ქრისტეს სისხლის მონაწილედ არ ხდიან ელიოზს, ხოლო ნიკოლოზ გულაბერისძესთან მცხ-ეთელ ელიოზზეც ნაწილდება მაცხოვრის წამებისას დაღვრილი სისხლის ბრალი (ამას მიუთითებს ფრაზა: „რამეთუ ეზიარა ძმაჲ მისი სისხლსა უფლისასა“, რომელშიც „ზი-არება სისხლთან“ ბრალობის აღმნიშვნელია, სამართლებრივი ტერმინია)[1]. ე. ი. ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულების მიხედვით, ელიოზი ეზიარა სისხლსა მაცხოვრისა. უფლის მიცვალებასა და ამიერქვეყნით მის ხორციელ განსვლას დაუკავშირდა ჯერ ელიოზის დედის, შემდეგ კი ელიოზის დის გარდაცვალებაც, ხოლო ელიოზის გარდაცვლილი დისთვის კვართის ხელიდან გამოცლა ვერავინ შეძლო და იგი კვართიანად დაკრძალეს. მეფე ადერკს ძლიერ მოეწონა უფლის კვართი და სწადდა ელიოზის მიცვალებული დისთვის მისი გამოღება, მაგრამ ვერ შეძლეს. „საკითხავში“ ეს იმითაა ახსნილი, რომ უწმინდური, უსჯულო მეფის ხელი კვართს არ უნდა შეხებოდა. შემდეგშიც ბევრჯერ სცადეს უფლის კვართის მოძიება, კერძოდ, მას ეძიებდა მეფე ამაზაელ, მაგრამ ვერ მიაგნეს. ნიკოლოზის სიტყვით, მისი ხილვა შემდეგშიც შეუძლებელი იყო და ამჟამადაც კაცთა თვალთაგან არის მიფარული. მხოლოდ წმ. ნინოს ძალისხმევით, მისი ლოცვითა და წმინდანური ცხოვრებით გახდა შესაძლებელი უფლის კვართის დაფლვის ადგილის მიგნება და იქ სვეტიცხოვლის ტაძრის აგება.

ნიკოლოზისავე საგალობელი ზეამაღლებული განწყობითა და ეროვნული სიამაყის გრძნობით გვამცნობს: *„კუართი წმიდაჲ მკსნელისაჲ, რომელ მყის აღტაცებით მოიწია პირველვე განგებულებით, სადა შეიმზადებოდა საყდარი ღმრთისაჲ, რომელსა ძრწოლით თაყუანის-ვსცემთ“* (გულაბერისძე, 2007: 69); *„ჰ კუართო საღმრთოო, რომელსა ზედა ელვებრ მზის სახედ ნათობს სუეტი ყოვლად წმიდაჲ და უხილავად ანგელოზთა დასნი ძნობით გალობენ და ქრისტესა აკურთხევენ უკუნისამდე“* (გულაბერისძე, 2007: 72). უფლის კვართის ადგილზე აღმართული ცხოველი სვეტი სულიერი ნათლითაა გაბრწყინებული: *„რომელი ჰნათობს საუფლოსა და ზეკარდამო ქმოილსა კუართსა ზედა და ელვებრ აკრთობს ცათა მობაძავსა საყდარსა“* (გულაბერისძე, 2007: *75).* ავტორი სვეტი ცხოველს მიმართავს: *„გიხაროდენ, რამეთუ წმიდასა ზედა და ნეტარსა სცისკროი კუართსა!“* (გულაბერისძე, 2007: 75); *„ჰ რაბამი სიტკბოებისაჲ, სულისა უკუდავმყოფელო, რამეთუ სამებისა წმიდისა გამომხატველთა საყდარსა ღმრთისასა, სუეტსა ნათლისასა და კუართსა წმიდასა საუფლოჲსა ერი მორწმუნეთა უგალობს და ქებასა შეასხამს, რომელსა ანგელოზნი ძნობით უპირობენ“* (გულაბერისძე, 2007: 76);

---

1 ამ კონტექსტში სისხლთან ზიარება ღმერთთან მისტიურ კავშირს, ზიარების საიდუმლოს რომ მიანიშნებდეს, მაშინ მხოლოდ სისხლი არ იქნებოდა ნახსენები, ვინაიდან წმიდა ზიარება ნიშნავს ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღება-ზიარებას. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ელიოზის დის სიკვდილის ერთ-ერთ მიზეზად ქრისტეს სისხლთან ზიარება არ დასახელდებოდა. ამ საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც. იხ. გ. კუჭუხიძე, უფლის კვართის სიმბოლიკისათვის, ჟ. ცისკარი, 1998, №3.

„კუართი ბრწყინავს, სეტი ნათობს, ჯუარი ჰკრთების და სხივთა ელვებრ განუტეობს“ (გულაბერისძე, 2007: 79). სამი წმიდა ნივთი, სამსახეთა მსგავსი –– ეკლესია, კვართი და სვეტი ცხოველი –– წარმოსახული „საკითხავში“ და შექებული საგალობელში, სამების გამომსახველად აღიქმება ნიკოლოზ გულაბერისძის, როგორც შემსხმელისა და ჰიმნოგრაფის მიერ.

უფლის კვართი სიმბოლოა ეკლესიის ერთიანობისა. ჯვარცმის შემდეგ უფლის კვართი კი არ დაანაწევრეს, არამედ ერთიანად წილი ჰყარეს მასზე. კვართის დაუნაწევრებლობა, განუყოფლობა და ერთიანობა ეკლესიის ერთიანობის მაუწყებელია. უფლის კვართმა ქართველი ერისათვის სხვა სიმბოლური მნიშვნელობაც, ერის იდენტობის მნიშვნელობა შეიძინა, იგი გამოსახეს ბაგრატიონთა სამეფო გერბზე, ვითარცა სიმბოლო ქვეყნის ერთიანობისა, დაუნაწევრებლობისა, ერთიანი ეკლესიის არსებობისა, ერთიანი ენის ფლობისა. უფლის კვართის დაუნაწევრებლობა ადამიანის სულიერი განახლების მომასწავებელიცაა, იგი „ახალი კაცის“, ჰარმონიული და უცოდველი პირველსახის დამბრუნებელი ადამიანის სიმბოლოცაა.

აქვე უთუოდ უნდა ითქვას ელიას ხალენის შესახებაც, რომლის საქართველოში დავანება მას წინასწარმეტყველების აღსრულების წინასაფეხურად მოგვაზრებინებს, იმის წინასწარ მინიშნებად აღგვაქმნევინებს, რომ მომავალში უფლის კვართი საქართველოში დაივანებდა. უძველესი ქართული და უცხოური საისტორიო წყაროები მიუთითებენ, რომ ებრაელები ქართლში ძვ. წ. VI საუკუნეში მოსულან. ახალი წელთაღრიცხვის დამდეგისათვის ისინი მცხეთაში მყარად მკვიდრობდნენ. მათ ძველი აღთქმა საქართველოში ძველი აღთქმისავე ეპოქაში მოიტანეს, რითაც, ფაქტობრივად, ქართველ ერს ბიბლიური ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა გაუხსნეს. საკრალურად ამის დასტურია ელიას ხალენის მცხეთაში დაფლულობა, რაც, როგორც ზემოთაც ითქვა, უფლის კვართის ასევე მცხეთაში დავანების წინასწარმეტყველება იყო. ელიას ხალენი – უფლის კვართი – მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი არის ის სამი ხელშეუხებელი სიწმიდე, რომლებიც უფალმა საქართველოს სხვადასხვა დროს მიუბოძა.

III საუკუნის დიდი მღვდელმოწამე, ღვთისმეტყველი წმ. კვიპრიანე კართაგენელი უფლის კვართის ერთიანობის შესახებ გვაუწყებს: „ერთიანობის ეს საკრამენტი, ეს საკრველი განუყოფლად შეკავშირებული თანხმობისა, სახარებაში ცხადდება იმით, რომ კვართი უფლისა იესო ქრისტესი („ტუნიკა დომინი იესუ ქრისტი“) არანაირად არ ნაწილდება, არც ხევა, არამედ ქრისტეს სამოსზე წილისყრის ჟამს... (კვართი) მიიღება როგორც მთლიანი სამოსი და სამფლობელოდ გადაეცემა დაუზიანებელი და დაუნაწილებელი. კვართი მატარებელი იყო იმ ერთიანობისა, რაც ზემოდან, ანუ ციდან და მამისაგან მოდის და რაც არანაირად არ შეიძლებოდა დარღვეულიყო მისი (კვართის) მიმღებლისა და მფლობელის მიერ, არამედ იგი განუყოფლად იცავდა ერთობლივად მთლიან და მკვრივ სიმტკიცეს. ქრისტეს შესამოსლის ფლობა არ ძალუძს მას, ვინც არღვევს და ყოფს ქრისტეს ეკლესიას... ქრისტეს ხალხი არ შეიძლება დანაწევრდეს, მისი კვართი მთლიანად ნაქსოვი და შეკავშირებული, არ შეიძლება დაიყოს მფლობელთა მიერ. სამოსლის საკრამენტითა და ნიშნით სახარებამ ცხადყო ეკლესიის

ერთიანობა“ (ეკლესიის ერთიანობის შესახებ. თავი 7) (ჭელიძე, 1997: 8).

უფლის კვართი, როგორც უწმიდესი რელიკვია, მოიცავს და ამთლიანებს ყველა იმ ქრისტიანულ სიწმიდეს, რასაც საქართველოს ეკლესია ფლობდა და ფლობს, კერძოდ, საუფლო ჯვრის ნაწილი, ფიცრები, რომლებზეც დამსჭვალეს მაცხოვრის ფეხები, სამსჭვალი, რომლითაც მაცხოვრის ხელები ჯვარს მიაჭედეს (ერთი ამ სამსჭვალთაგანი საქართველოს საპატრიარქოში ამჟამადაც ინახება). საქართველოში, მცხეთაში კვართის დაფლვამ მცხეთა „მეორე იერუსალიმად“, „ახალ იერუსალიმად“, ზეციურ, სულიერ ქალაქად გარდასახა. საქართველოში უფლის კვართის ჩამოტანამდე, წმ. ანდრია პირველწოდებულისა და შემდეგ წმ. ნინოს მოსვლამდე ქართველი ერი „ბნელსა შინა ჯდა“, საქართველო იმყოფებოდა ბარბაროზთა და წარმართთა ხელთ, რის გამოც ნიკოლოზ გულაბერისძემ „ჯალობანში“ მცხეთას „ოდესმე მგლოვიარე ქალაქი“ უწოდა: *„ოდესმე მგლოვიარეო ქალაქო მცხეთისაო, ეშმაკთა სიოდასა და განცხრომასა შენ შორის, აჰა აწ იხარებდ და დღესასწაულობდ, ნაცვლად სიოდათა მგალობელობენ შენ შორის ეკლესიისა შვილნი სამარადისოდ“* (სულავა, 2003: 287). შემთხვევითი არ არის დამოწმებულ კონტექსტში ხსენება „ოდესმე მგლოვიარე ქალაქი მცხეთისა“, რადგან ერმა, ქვეყანამ დაუტევა უსჯულოება, რითაც მარადიულობას ეზიარა. მცხეთის ამგვარ გააზრებას ღრმა სიმბოლური ქრონოტოპისი აქვს. ყოველი ქალაქის, ყოველი ტაძრის ადგილის შერჩევა საგანგებოდ ხდება, ხოლო მცხეთის დაარსების ისტორიის გასააზრებლად გასათვალისწინებელია ის გადმოცემები, რომლებიც მის ზეციურ პროტოტიპზე, ზეციურ ტოპოსურ განზომილებაზე მიუთითებს. მცხეთა დაარსებულია მცხეთოსის მიერ, რაც მისი ისტორიის მითოლოგიურ ძირებს მიგვანიშნებს და რაც გვაფიქრებინებს, რომ მცხეთის ისტორია მითით იწყება. ეს მართლაც ასეა, მაგრამ იგი წარმართული მითია და წარმართულ ეპოქას ასახავს; მომავალში მისი გადასაკრალიზება უნდა მოხდეს, რაც ხანგრძლივი პროცესია და თანდათანობით მიმდინარეობს: ჯერ ელიას ხალენი მკვიდრდება, როგორც წინასახე, ჰიპოდიგმა მაცხოვრის კვართისა, ხოლო შემდეგ ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე, რელიკვია — მაცხოვრის კვართი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მცხეთის ჰაგიოტოპისად გარდასახვას. ბოლოს მოდის ვაზის ჯვარი, რომელმაც ქრისტეს ნათელი უნდა მიჰფინოს მცხეთასა და სრულიად საქართველოს. ამრიგად გარდაისახა „ოდესმე მგლოვიარე ქალაქი მცხეთისა“ ზეციურ, სულიერ იერუსალიმად.

კ. კეკელიძემ მცხეთისა და მისი შემოგარენის ტოპონიმიკა იერუსალიმსა და უფლის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ წმინდა ადგილებს შეადარა: „ძველმა ქართულმა ეკლესიამ, რომელმაც თავისი დასაბამი წმინდა მიწიდან მიიღო, ტოპოგრაფიული თვალსაზრისითაც თავისი დედისაგან — იერუსალიმის ეკლესიისაგან მიიღო ასული, როდესაც მცხეთასა და მის მიდამოებში შექმნა ყველა ის უმთავრესი პუნქტი, რომლებთანაც დაკავშირებული იყო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მცხეთა — ქართული იერუსალიმია“ (კეკელიძე, 1957: 362). იერუსალიმის სიონი 12 მოციქულის სახელობისაა, რომელიც ყველა ეკლესიის დედად იწოდება (სიონი ღვთისმშობლის სიმბოლოცაა), ანალოგი აქვს საქართველოში სვეტიცხოვლის

სახით, რომელიც 12 მოციქულის სახელობისაა და, რ. სირაძის შრომის მიხედვით, აგრეთვე, სიონადაც იწოდება (სირაძე, 1992: 119). მცხეთაშივე შემორჩენილია გამოქვაბული ეკლესიის ნანგრევებით, რომელსაც ბეთლემს უწოდებენ, სწორედ აქ, მდინარე მტკვარში მოინათლნენ პირველი ქრისტიანი ქართველები; მტკვრის მარჯვენა მხარეს, სამხრეთით, მცხეთის პირდაპირ, თაბორის მთაა, მასზე ფერისცვალების სახელობის მონასტერი ყოფილა აღმართული. მცხეთის ჩრდილოეთით კი ამაღლების, იგივე ელეონის ანუ ზეთისხილის მთა მდებარეობს; სამხრეთ-აღმოსავლეთით ბეთანიაა, ხოლო არაგვის მარცხენა სანაპიროზე, მტკვრისა და არაგვის შესართავთან — გოლგოთის მთა, რომლის ერთ ფერდობს გეთსიმანია ეწოდება. მცხეთის გოლგოთის მთაზე აღმართული ჯვრის მონასტერი საუფლო ჯვრის ერთარსად აღიქმება (კეკელიძე, 1957: 362-363). ეს სიმბოლური შესაბამისობები იმას მიუთითებს, რომ სვეტიცხოვლის ტაძარში უფლის კვართის დაფლვის ადგილი მაცხოვრის საფლავის სიმბოლური მინიშნებაა. ამგვარი დამთხვევა და დაკავშირება მცხეთისა იერუსალიმთან მცხეთის სიმბოლური იერუსალიმური სახის სრულყოფის მაუწყებელი უნდა იყოს. „ახალი იერუსალიმის", „ზეციური იერუსალიმის" ჩამოყალიბება იწყება სამეფო ბაღის საღვთო ადგილად, ზეციური სამოთხის გარდასახვით (კეკელიძე, 1957: 362-363), რადგან მონასტრის არქიტექტონიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შიდა ბაღს, ეზოს, რომელიც სიმბოლურად სამოთხეს განასახიერებს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მონასტრის ტოპოსი მის შუაგულში ბაღის, ვითარცა სამოთხის სიმბოლოს, გაშენებას გულისხმობდა (ლიხაჩოვი, 1987: 418-494; მოდებაძე, 2007: 69-70). ამიტომ წმ. ნინოს „ცხოვრებათა" ყველა რედაქციაში აღნიშნული „სამოთხე" ედემის ბაღის, ზეციური სამოთხის სულიერი მემკვიდრეა, ჰიპოდიგმაა. ზეციური, ახალი იერუსალიმის არსობრივი რაობა ისაა, რომ იგი პირველქმნილია, უცოდველობის ნიშნით აღბეჭდილია. მის წიაღში ყველაფერი წმინდაა, საკრალურია, ცოდვადაუცემელია. „სამოთხეში" ზეციური ხეებია, ღვთისაგან საგანგებოდ დანერგილი, რომლებიც სიცოცხლის ხის სიმბოლოდ მოიაზრებიან.

ეს სიმბოლო — მცხეთის იერუსალიმური სახე არეკლილია ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავსა" და საგალობლებში, რაც მისი მსოფლმხედველობის მესიანურ საფუძველს წარმოაჩენს.

2. არანაკლებ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ავტორმა კაბადოკიიდან მოსულ წმ. ნინოს უწოდა „დედა ქართველთა თემისა", დედა, რომლის ლოცვით არმაზს, საკერპთაყვანისმცემლო ადგილს, ღვთის ძალითა და ნებით მეხი დაატყდა, ხოლო უფლის კვართის დაფლვის ადგილას წმინდა სვეტი აღმართა. უნდა აღინიშნოს, რომ სივრცული თვალსაზრისით არმაზი და მცხეთაში ცხოველი სვეტის აღმართვის ადგილი ბინარული ოპოზიციაა ისევე, როგორც ცა და დედამიწა შუასაუკუნეობრივ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში. როგორც ცა არის მარადიული და იდეალური სამყოფელი სულისა, ასევეა მცხეთა, სვეტიცხოველი ქართველებისათვის სულის საუფლო. საკრალური და წმინდაა ის ადგილი, სადაც უფლის კვართია დაფლული, სადაც ამოიზარდა წმინდა ხე — „ნაძვი ლიბანისა", რომელიც აღიმართა მოკვეთილი ხის ადგილას, ე. ი. უფლის კვართის დაფლვის ადგილას, წმინდა ტაძარი თორმეტი მოციქულის სახელობისა —

სვეტიცხოველი. უფლის კვართის ადგილას ამოზრდილი ხე ლიბანისა, ნაძვი ლიბანისა წმინდა ხეა, რომელიც უპირისპირდება სამოთხის იმ ხეს, რომლის ნაყოფის გემოსხილვამ ზეციური ადამი და ევა გარდასახა, ცოდვილნი გახადა. ბიბლიური ხე ცხოვრებისა და ცნობადისა, ერთი მხრივ, და ნაძვი ლიბანისა ბინარული ოპოზიციაა, რომელშიც სამყაროს ქმნადობისა და სამოთხიდან ადამიანის გამოდევნის პროცესია არეკლილი. აქედან გამომდინარე, მთელი ეს გარემო იერარქიზებულია და საფეხურებრივად გამოსატავს უზენაეს სიწმინდეს.

ზემოთ აღვნიშნეთ უფლის კვართის საქართველოში მცხეთელი ელიოზის მიერ ჩამოტანის, მისი დის მიერ კვართის მირქმისა და გარდაცვალების შესახებ. ელიოზის და იქვე დაკრძალეს, სადაც მან უფლის კვართი მიირქვა[2]. სწორედ იმ ადგილას ამოიზარდა ნაძვი ლიბანისა, რომლის მოკვეთის შემდეგ აღმართეს სვეტიცხოველის ტაძარი, ვითარცა უმთავრესი ტაძარი სრულიად საქართველოსი.

ცხოველი სვეტის სიმბოლო განმარტებულია პავლეს პირველ ეპისტოლეში ტიმოთეს მიმართ: „ვითარ ჯერ-არს სახლსა შინა ღმრთისა-სა სლვაჲ, რომელ არს ეკლესიაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ, **სუეტი** და **სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ**“ (I ტიმ. 3,15). ღვთის სახლი, ცხოველი ღმერთის ეკლესია არის ჭეშმარიტების სვეტი და სიმტკიცე. პ. ფლორენსკის განმარტებით, „ჭეშმარიტების სვეტი არის ეკლესია, ერთარსება სამება, ნათელი დაუღამებელი, სიბრძნე ყოვლად პატიოსანი დედა ქალწული – ღვთისმშობელი“ (ფლორენსკი, 1990: 489).

„საკითხავსა“ და საგალობელში „სუეტი ნათლისა“, „სუეტი ცხოველი“ ის მთავარი სვეტია, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობისას ადამიანთა ხელით არ აღმართულა, იგი ღვთის ნებით იქნა აღმართული ჰაერში იმ ადგილას, სადაც უფლის კვართია დაფლული და სადაც იდგა ცხოველი ხე – ნაძვი ლიბანისა: *„ვიხაროდენ, სუეტო ქუეყანით ზეცად ამაღლებულო და ზე ჰაერთა ტჳრთულო არა ნივთთაგან კაცობრივთასა, არამედ ჴელითა ანგელოზთათა უხილავად, რომელი გუფარავ მარადის შენდამი მოლტოლვილთა“* (გულაბერისძე, 2007: 66).

სვეტიცხოვლის ტაძრის აშენება და მეშვიდე სვეტის, ვითარცა მთავარი სვეტისა, აღმართვა ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებებში შედარებულია სოლომონის მიერ ტაძრის აგებასთან, ტაძრისა, სადაც ინახებოდა სჯულის კიდობანი, რომელშიც ორ ფიცარზე ორივე მხარეს წარწერილი ღვთის მიერ მოცემული ათი მცნება იყო დაცული. ამიტომ სვეტიცხოვლის ტაძარში დაფლული უფლის კვართი დაფარული ღვთაებრივი სიბრძნის ფლობას მიანიშნებს.

ეიდეტური და ეიკონური სახისმეტყველების კვალობაზე, ცხოველი სვეტის სიმბოლოს უკეთ შესამეცნებლად წმ. გრიგოლ ნოსელის თვალსაზრისი კონცეპტუალური

2 ელიოზის დის მიერ უფლის კვართის მირქმად სახელდება პირველად ნანა გონჯილაშვილმა განსაზღვრა, როდესაც იგი დაინტერესდა ელიოზის დის სახელით, რომელიც სიდონიად მოიხსენიება სამეცნიერო ლიტერატურაში და გაარკვია, რომ ელიოზის დის სახელი არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ტექსტში, მისგან მომდინარე არც ერთ სხვა თხზულებაში არაა დასახელებული. დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი წყაროების მიხედვით, ელიოზის და სიდონიას სახელით პირველად თეიმურაზ ბაგრატიონმა მოიხსენია (გონჯილაშვილი, 2011).

მნიშვნელობისაა. წმ. გრიგოლ ნოსელი ცხოვრების ხეს და ცნობადის ხეს ცალ-ცალკე განმარტავს, რადგან მათს ფუნქციას განსხვავებულად აღიქვამს. „ხე ცხოვრებისა" არის „ხატებაჲ ღმრთისაჲ", ე. ი. სულიერი ცხოვრება, ხოლო „ხე ცნობადისა" — „შუენიერ ხილვითა", ე. ი. მატერიალური ცხოვრება, რაც სიკვდილით დასრულდება; არის თუ არა სვეტი ცხოველი, მისი პირველსახე პარადიგმა „ხე ცხოვრებისა და ხე ცნობადისას" ჰიპოდიგმასთან მიმართებით? ნაძვი ლიბანისა სვეტად ცხოველად იქცა მაშინ, როდესაც იგი ცეცხლოვანმა ჭაბუკმა აზიდა მაღლა და ზეციდან ჩამოშვებული საქართველოს მთავარი ეკლესიის მთავარ ბოძად, მთავარ სვეტად გარდაისახა. მაცხოვრის კვართის დაფლვის ადგილას ამოზრდილი ნაძვი ლიბანისა და სვეტიცხოველის მთავარი საყრდენი სვეტი, ცხოველი სვეტი ისე მიემართებიან ერთმანეთს, როგორც, ერთი მხრივ, ზეციური ადამი, მეორე მხრივ, ძე ღვთისა და ძე კაცისა//„მეორე ადამი"//მაცხოვარი, ან არმაზული და ქრისტიანული ეპოქები საქართველოს ისტორიის ჭრილში. ღმერთმა სამყაროს ძე ღვთისა და ძე კაცისა უბოძა როგორც მთავარი სვეტი, როგორც მთავარი საყრდენი ბოძი — ევანგელურ-აპოსტოლური სწავლებით, „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ" (I ტიმ. 3, 15), რომელსაც დაეყრდნო სვეტიცხოვლის ტაძარი.

სვეტი ცხოველში, მის პირველხატში, მის პირველსახეში ერთდროულად მოიაზრება ხე ცხოვრებისა და ხე ცნობადისა, რადგან იგი იმ ლიბანის ნაძვის გადანაჭერი ხეა, რომლის ფესვებიც მაცხოვრის კვართს ეხებოდა, მასთან ზიარებულია. სწორედ მაცხოვრის კვართმა აქცია მცხეთა ქართველთათვის „მეორე იერუსალიმად", ზეციურ იერუსალიმად; ცხოველი სვეტის ზეციდან ცეცხლოვანი ჭაბუკის მიერ ჩამოსვეტების შედეგად მცხეთამ საკრალური მისია შეიძინა, რადგან ცხოველი სვეტი მარადიულობას სწვდება და მაცხოვრის აღდგომის სიმბოლოდ მოიაზრება. სვეტის სახით ჩამოშვებული ნაძვი ლიბანისა მაცხოვრის კვართის დაფლვის ადგილს მიუთითებს, რაც სხვათათვის დაფარული იყო, მხოლოდ წმ. ნინომ იცოდა იგი, იცოდა, როგორც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შთაგონებით წარმოგზავნილმა მოციქულთა სწორმა, ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებით, მოციქულმა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბიბლიური მონათხრობით, სვეტი ნათლისა და სვეტი ღრუბლისა თეოფანიის ნიშანია, რაც მხოლოდ უფლის რჩეულთ ეუწყებათ.

ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავში" სათაურშივეა სამი სიწმინდე აღნიშნული და მათზე ყურადღება გამახვილებული, საგალობლები კი უმეტესად ცხოველი სვეტის სიმბოლიკას ასახავენ. „სუეტი ცხოველი" მცველია ქართველთა და საქართველოსი: „გიხაროდენ შენ, სუეტო წმიდაო, ებგურო და მცველო ჩუენო და შვილთა შენთაო, რომელნი ჩუენცა შენითა დიდებითა ნეტარ ვიქმნებით" (გულაბერისძე, 2007: 66). სვეტიცხოვლის ტაძარი თორმეტი მოციქულის სახელობისაა, რაშიც, აგრეთვე, სიმბოლური აზრია ჩაქსოვილი. „საკითხავის" ტექსტში ჩართული წმინდა ჯვრის სასწაულთა შორის ყურადღებას იქცევს ერთ-ერთი, რომელიც მარტვილის დღესასწაულზე ოთხშაბათ დღეს იხილეს: „სუეტი ერთი ნათლისაჲ სახედ ჯუარისა" (გულაბერისძე, 2007: 43) და თორმეტი ვარსკვლავი, რომელთაც ირგვლივ ნათლის გვირგვინი შემორტყმოდა და ბრწყინავდა, იდგა ჯვრის თავზე. თვით წმინდა ჯვარი, ნათლით შემოსილი, მაცხ-

ოვარია, ხოლო თორმეტი ვარსკვლავი თორმეტი მოციქულის სიმბოლოა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, აგრეთვე, მოციქულია და სწორედ მას ხვდა წილად საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება, რაც პირველ საუკუნეში მოციქულმა წმ. ანდრია პირველწოდებულმა, ხოლო საბოლოოდ IV საუკუნის I ნახევარში წმ. ნინომ აღასრულეს. სვეტიცხოველი არის „საყოფელი სახლი წმიდაჲ დიდებისა ღმრთისა“, რომელიც „ცათა მობაძავია“. სახისმეტყველებით ცა უფლის სამყოფელია, იგი ღვთისმშობელიცაა სიმბოლური მოაზრებით. ტაძარი „ცათა მობაძავია“, რადგან ცაში მკვიდრობს, ტაძარი ღვთის სახლია. ძე ღმერთმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელში, ქალწულ დედაში დაივანა, ამიტომაც იწოდება ღვთისმშობელი ხან ცად, ხან ცათა მობაძავად (მეტაფრასული–, 1986: 103, 150; ეფრემ მცირე, 1968: 83). ნიკოლოზ გულაბერისძის საგალობლებში ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარები ღვთისმშობელს სხვადასხვა სიმბოლოთი წარმოაჩენს, რომელთაგან უნდა გამოვყოთ სვეტი ნათლისა და სვეტი ცხოველი, რადგან მათ ღრმა სიმბოლური ფესვები აქვთ და საღვთისმეტყველო ლიტერატურაში სიმბოლურ-საკრალური მნიშვნელობა ენიჭებათ.

ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავსა“ და საგალობლებში „სვეტი ცხოველი“, „სვეტი ნათლისაჲ“, „სვეტი ღრუბლისაჲ“, „სვეტი ცეცხლისაჲ“ სხვადასხვა სიმბოლური სახისმეტყველებით დასტურდება. მათი ლიტერატურული საწყისი ბიბლიურია. „ნათლის სვეტი“, იგივე „ცეცხლის სვეტი“, და „სვეტი ღრუბლისაჲ“ მიუძღვის ღვთის რჩეულ ერს აღთქმული ქვეყნისაკენ. ეგვიპტიდან მომავალ ებრაელებს „ღმერთი უძღოდა დღისი უკუე სუეტითა ღრუბლისაჲთა ჩუენებად მათდა გზასა, ხოლო ღამე სუეტითა ცეცხლისაჲთა და არა მოაკლდა სუეტი იგი ღრუბლისაჲ დღისი და სუეტი ცეცხლისაჲ ღამე წინაშე ყოვლისა ერისა“ (გამოსლვ. 13, 21-22). მეწამულ ზღვასთან ებრაელებს უკან დაუდგა „სუეტი ღრუბლისაჲ“, ვითარცა მცველი (გამოსლვ. 14, 19). ამავე დროს, „სვეტი ღრუბლისაჲს“ უკან დგომა იმას მიუთითებს, რომ მათ უკან მიბრუნება ეკრძალებათ, მხოლოდ წინ უნდა იარონ, რადგან უკან მიხედვაც კი დამღუპველია, „სვეტი ღრუბლისაჲს“ პირისპირ ხილვა არ შეიძლება. ხოლო, რადგან განთიადისას ეგვიპტელებს პირისპირ წარუდგა „სუეტითა ცეცხლისა და ღრუბლისაჲთა“, ღმერთის პირისპირ ხილვამ დაღუპა კიდეც ისინი (გამოსლვ. 14, 24). რ. სირაძემ აღნიშნა, რომ სვეტი-ცხოვლის სახე-სიმბოლო ქართულ მწერლობაში ამკვიდრებდა ეიკონურ, ხატისებრ სახისმეტყველებას (სირაძე, 2008:). მიუხედავად ამისა, სვეტი-ცხოველის სახეს ეიდეტურ ხანაში წარმართული ხის სახით ვხვდებით – ხისგან შეიქმნა სვეტი ცხოველი, – ქართულ ჰაგიოგრაფიაში სვეტიცხოველი ნათლის სვეტია, ხატია, სიმბოლოა თავდაპირველი ბიბლიური „სუეტისა“ – ნათლისა, ცეცხლისა, ღრუბლისა. მის სახისმეტყველებას ქართულ მწერლობაში, ზოგადად კულტურაში, ნათლის, მზის ესთეტიკა მსჭვალავს და წარმართავს, იგი ცხოველი სვეტის სიმბოლოსთან ღრმა, მისტიურ-სიმბოლურ კავშირშია, რადგან სვეტი ცხოველი ნათლის სვეტად ჩამოეშვა ზეციდან. ეს ნათლის სვეტი, ცხოველი სვეტი მაცხოვრის კვართლის დაფლვის ადგილას იყო ამოსული და მისი ზეცასთან კავშირი წინასწარმეტყველური, განგებითი იყო.

„საკითხავში“ მოთხრობილია რამდენიმე სასწაული, რომელთა წინასახედ სწორედ

ის ბიბლიური ეპიზოდები მოიაზრებიან, რომელთა მიხედვით სვეტი ცეცხლისა//სვეტი ნათლისა და სვეტი ღრუბლისა მოუძღოდა აღთქმული ქვეყნისაკენ ებრაელებს. კერძოდ, შეიძლება მოვიხმოთ თვით ავტორის მიერ გადატანილი განსაცდელისას სვეტი ნათლისას შემწეობითა და წყალობით ადიდებული არაგვის გადალახვა და სამშვიდობოს გასვლა. ნიკოლოზ გულაბერისძემ სვეტიცხოვლის ერთ-ერთი სასწაულის აღწერისას შეიტანა ეპიზოდი თავისი ბიოგრაფიიდან; მას ავტობიოგრაფიის გადმოცემის მიზანდასახულობა არ ჰქონია; ეპიზოდის მიზანი იმ სასწაულის ასახვა იყო, თუ როგორ გადარჩნენ ნიკოლოზი და მისი მხლებელი მდინარის ადიდებისას ცხოველი სვეტის სასწაულებრივი წინამძღოლობით. მწერალი მიუთითებს, რომ მისი ბიძა, მამის ძმა სვიმონი, პატრიარქობამდე არმაზში წმ. საბას მონასტერში მოღვაწეობდა. ახალგაზრდა ნიკოლოზი სწორედ თავის ბიძასთან მიდიოდა კახეთიდან არმაზში: „ჟამსა მას სიყრმისა ჩემისასა, რაჟამს-იგი ნეტარი მამისძმაჲ ჩემი სჳმონ, პირველ პატრიაქობასა მისისა, მონასტერსა შინა იყო წმიდისა საბასსა არმაზს, მაშინ უკუე მე კახეთით მოვიდოდე მის წინაშე"– (გულაბერისძე, 2007: 53). სასწაულში მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გაიყვანა არმაზს მიმავალი სრულიად ახალგაზრდა, სიყრმის ასაკში მყოფი ნიკოლოზ გულაბერისძე ზეცად აღწეულმა ცხოველმა სვეტმა სოფელ წიწამურთან („სოფელსა მას მახლობელსა არაგჳსასა წიწამურს" – გულაბერისძე, 2007: 53) ადიდებული არაგვის ერთი ნაპირიდან მეორეზე თავის თანმხლებ პირთან ერთად, რომელიც ღვინით დატვირთულ ცხენს მიუძღოდა. ეპიზოდის ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველება ბიბლიიდან მომდინარეობს; სახისმეტყველებითად ესაა მოსე წინასწარმეტყველის მიერ ებრაელი ხალხის გამოყვანა ეგვიპტელთა მონობიდან და ღმერთის მიერ წითელი ზღვის განპების შედეგად სამშვიდობოს გასვლა. ამავე თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ეპიზოდი, რომელიც მოგვითხრობს სუჯი//სოჯი დედოფლის შესახებ, რომელმაც გამძვინვარებული და აბობოქრებული მდინარე არაგვი გადალახა, როცა იგი კახეთიდან მოდიოდა მრავალრიცხოვან ერთან და ოჯახთან ერთად. სამშვიდობოს გასულმა მუხლმოყრით მხურვალე მადლი შესწირა ცხოველ სვეტს გადარჩენისათვის. ნიკოლოზ გულაბერისძემ ეს ეპიზოდიც შეადარა მოსე წინასწარმეტყველის წინამძღოლობით ეგვიპტელთაგან დევნილი ებრაელების მიერ მეწამული ზღვის განპებით გადალახვას. ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ დამოწმებულ ეპიზოდში სუჯი//სოჯი დედოფლის მამაცობის აღწერა მხატვრული თვალსაზრისით ერთ-ერთი ძლიერი ეპიზოდია: „*ესე უკუე სასწაულნი, საკუარელნო, ისრაიტელთა მათ ზედა ქმნულისა სასწაულისა არარაჲთ უკუე უმცირეს არს, არამედ კნინლა და უმეტესცა ჳგონე, ვინაჲთგან იგი მდოვრად მდგომი ზღუაჲ იყო, ხოლო ესე მქანარედ მავალი, ვითარცა მგელი განძჳნებული, ხოლო ორივე ღმრთისა მიერი იყო*" (გულაბერისძე, 2007: 51).

ნიკოლოზ გულაბერისძის საგალობელი გვაუწყებს, რომ ნათლის სვეტი მიუძღოდა ეგვიპტის მონობიდან გამოსულ უფლის რჩეულ ერს აღთქმული ქვეყნისაკენ ორმოცი წლის მანძილზე: „*ესე სუეტი ზეშთა დიდებული ღვთისგანვე საცნაურ არს, რამეთუ ძველ ოდესმე დიდსა მოსეს შორის მოგზაურობდა და ისრაელთა კეთილად უცდომელად ავლინებდა წინამძღოლითა ღმრთივ ბრწყინვალითა მიმყოვრებელთა ჟამთა*

ოთხ ათეულთა წელთასა უდაბნოსა მოქალაქეთა ისრაელთა ჟამიერად დგომისა და ლტოლვისა მაუწყებელ, უზრუნველ ექმნებოდა, ხოლო ამალეკსა და ფარაოს მგუემელ უწყალო საღმრთოებათა მით განგებულებითა სასწაულთა საკვრველთა იქმოდა, ხოლო აწ უზეშთაეს მოქმედებს ყოველთა შორის ურწმუნოთა შემმუსვრელ, ხოლო მორწმუნეთა ძალ და ცხოვრება“ (გულაბერიძე, 2007: 67).

როდესაც სინას მთაზე ასვლის წინ მოსე კარავში შევიდა, *„გარდამოჯდის სუეტი იგი ღრუბლისა და დადგის კართა თანა მის კარვისათა“* და ღმერთი ამცნობდა მოსეს მასთან მომავალ შეხვედრას. ამ დროს *„ჰხედვიდა ყოველი იგი ერი სუეტსა მას ღრუბლისასა, მდგომარესა კართა ზედა მის კარვისათა“* (გამოსლვ. 33, 9-10), „სუეტს ღრუბლისას“ თაყვანს სცემდა მოსე, რომელსაც ღმერთი აფრთხილებდა: *„ვერ ძალგიც პირისა ჩემისა ხილვად, რამეთუ არა არს კაცი, რომელმან იხილა პირი ჩემი და ცხონდა“* (გამოსლვ. 33, 20. შდრ.: რიცხვ. 14, 14).

„ღრუბელი“, „ნისლი“, „ღამე“, ფილონ ალექსანდრიელიდან მოყოლებული, თითქმის ყველა ღვთისმეტყველს აქვს განმარტებული. ღრუბელი და ნისლი არის ღმერთის მიუწვდომლობის სიმბოლო; ღმერთი, რომელიც არის ნათელი, ნათელზე უზესთაესი, ადამიანს ეჩვენება წყვდიადად, გაუმჭვირვალედ. ღრუბელი წინასწარმეტყველური ხილვაა, გამოსლვათა წიგნის მიხედვით, იგი ღმერთის გამოცხადებადაა აღქმული (19, 20-24; თავი 33), რომელიც გახდა დასაბამი, საწყისი სხვა ბიბლიურ წიგნებში ასახული ნათლის, ღრუბლის, ნისლის სიმბოლიკისა. ქრისტეს მოწაფეებს ღრუბლიდან და ნისლიდან ესმით ღმერთის ხმა: *„ესე არს ძე ჩემი საყვარელი“* (მთ. 17, 5).

ფილონ ალექსანდრიელმა ღმერთის შესაცნობად სმენაზე მაღლა ჭვრეტა, სულიერი ხედვა დააყენა. მისივე განმარტებით, თუ ბერძნებისათვის სამყაროს აღსაქმელად ყველაზე მაღალი გრძნობა არის ხედვა, მხედველობა, ებრაელებისათვის ღმერთის შესაცნობად ყველაზე მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი საშუალებაა ღმერთის ხმის მოსმენა. ფილონ ალექსანდრიელმა თავისი შეხედულება დაამყარა გამოსლვათა წიგნში გამოთქმულ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით, *„ყოველი ერი ხედვიდა ჰმასა და ლამპართა და ჰმას საყვირისსა და მთაჲ მეუმოლვარე იყო, ხოლო შეშინებულნი ყოველნი ერნი დგეს შორს“* (გამოსლვ. 20, 18), აგრეთვე: *„და თქუა უფალმან მოსეს მიმართ: ესე ჰრქუნე სახლსა იაკობისსა და მიუთხრნე ძეთა ისრაელისათა: თქუენ იხილეთ, რამეთუ ცით გამო ვიტყოდე თქუენდა მიმართ“* (გამოსლვ. 20, 22). ფილონი იქვე განმარტავს, რომ ყოველი მოკვდავი ნივთის ხმა სმენით შეიცნობა, მაგრამ ღვთის სიტყვა სინათლესავით, ნათელივით უნდა განჭვრიტოს ადამიანმა. ა. ლოსევმა ფილონის ამ ნაზრევში ესთეტიზმი დაინახა (ლოსევი, 1980: 103-104).

ღრუბელი, ნისლი სიმბოლური და ალეგორიული სახეებია, როგორც ხატი ღვთისა. კლიმენტი ალექსანდრიელი მათ ღმერთის უხილავობის სიმბოლოდ მოიხმობდა. ღრუბელი მალავს თვალისათვის იმას, რის ხილვასაც ადამიანის თვალები ვერ უძლებენ, მათ შესაძლებლობებს აღემატება. ამ თვალსაზრისით მეტად ნიშანდობლივია სინას მთისაკენ მიმავალი მოსეს შესვლა ნისლში, როგორ გაეხვია იგი მასში და უხილავი გახდა ებრაელთათვის. ნისლი ღმერთის ერთ-ერთი სიმბოლოა („*ხოლო მოსე შევიდა*

ნისლსა, სადა იყო ღმერთი" – გამოსლვ. 20, 21). წმ. გრიგოლ ნაზიანზელმა მოსეს შესვლა ღრუბელში მისი მატერიალურიდან, გრძნობადობიდან გამოსვლად განმარტა. წმ. გრიგოლ ნოსელმა – უთქმელის განჭვრეტად (ლოსევი, 1980: 103-104), უხილავის ხილვად, გამოუთქმელის აღქმად მიიჩნია, რადგან ღმერთი არ მალავს თავის დიდებას წყვდიადში, იგი ამ წყვდიადს ანათებს. ღამე ის ღრუბელია, სადაც მოსე შედის და წყვდიადი, რომელიც არის საფარველი ღმერთისა. ქრისტიანული მისტიციზმი, დაწყებული ფილონ ალექსანდრიელიდან, ღამეს, ღრუბელს, ნისლს განმარტავს, როგორც ღმერთის ხილვის საშუალებას, წინასწარ დაბრკოლებას წმინდა ნათელის ხილვაში (ლოსევი, 1980: 103-104).

„სვეტი ღრუბლისა", „სვეტი ცეცხლისა", რომლებიც დღისით და ღამით მიუძღვით ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს აღთქმული ქვეყნისაკენ, ღმერთის სიმბოლოებია. ცეცხლი ქრისტეს ჰიპოდიგმური სახეა, რაც მოსეს მიერ ალმოდებული მაყვლის ხილვაში (გამოსლვ. 3, 2-5) გამოვლინდა. ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი" და საგალობელი ასახავს ამ მოტივს: „ესე სუეტი, ისრაიტელთა უდაბნოს ოთხ ათეულთა წელთა ანაყოფებდა წინაძღომითა უცთომელითა, მართებით ავლინებდა ესევე თაბორს და იორდანეს" (გულაბერისძე, 2007: 68). ღრუბელი, ღვთისმშობლის სიმბოლოცაა, ხოლო „ღრუბელი სულმცირე" მხოლოდ ღვთისმშობლის სიმბოლოა, რასაც ხშირად სწორედ ამ გააზრებით იყენებენ ჰიმნოგრაფები. ყოველივე ეს იმას მიუთითებს, რომ „სვეტი ღრუბლისაჲ" და „სვეტი ცეცხლისაჲ" სიმბოლურ და ალეგორიულ განმარტებასა და აღქმას მოითხოვენ. ორივე სიმბოლო იმ რიგისაა, რომლებიც ღმერთსაც და ღვთისმშობელსაც აღნიშნავენ, რადგან ზემოხსენებული ბიბლიური სახისმეტყველებით (გამოსლვ. 3, 2-5), ცეცხლი ქრისტეს, ღმერთის სიმბოლოა, „სვეტი ცეცხლისაჲ" (აგრეთვე „სვეტი ღრუბლისაჲ") ღმერთის სიმბოლოა. ნიკოლოზ გულაბერისძის საგალობელი ასახავს ბიბლიურ მოტივს, რომლის მიხედვით ფარაონისაგან ლტოლვილ ებრაელებს ღმერთი ცეცხლის სვეტით უჩვენებდა გზას: *„ერმანი ებრაელნი, ლტოლვილნი ფარაოჲ მეფისაგან, უდაბნოსა შინა ცეცხლისაჲ სუეტითა უცთომელად ვიდოდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ შენ*" (გულაბერისძე, 2007: 80).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „სვეტი ცხოველი" დაკავშირებულია ბიბლიურ სიმბოლოებთან „სვეტი ღრუბლისა", „სვეტი ცეცხლისა", „სვეტი ნათლისა", რომლებიც ღმერთის სიმბოლური სახელებია ძველ აღთქმაში. ლ. გრიგოლაშვილმა „სვეტი ცხოველს" და „სვეტი ნათლისას" დაუკავშირა „ბერი კაცი" და „ძველი დღეთა", რომელთა ასახსნელად მან დაიმოწმა დანიელის წინასწარმეტყველების სიბრძნე. დაკვირვების საფუძველზე მან დასკვნა, რომ ესაა ღმერთის სიმბოლო. მისი სიტყვით: „ძველი დღეთაჲ" და „ბერი კაცი" ღვთაების ერთსა და იმავე ასპექტზე მიუთითებენ და ამიტომ იხილვების „სუეტი ნათელი, ვითარცა ძველი დღეთა". გულაბერისძე ჩამოთვლის იმ ადამიანებს, „რომელნიცა ღირს არიან ხილვისა მისისა" და მათ შორის ასახელებს დავით აღმაშენებელსაც (გრიგოლაშვილი, 2005: 94). რ. სირაძემ ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავის" ტექსტზე დაკვირვებით განაცხადა, რომ „სვეტი ცხოველი", ანუ ნათლის სვეტი, გამოხატავს „ძველ დღეს", რომელიც სიმბოლურად მამა ღმერთს აღნიშნავს,

„რაც ამ ნაწარმოების მთელი სიმბოლური შინაარსის გასაგებად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს“ (სირაძე, 1992: 111). ამავე პრობლემის განხილვა შემოგვთავაზა ლ. წერეთელმა თავის წერილში დავით აღმაშენებლისეული ხილვის შესახებ, რომლის მიხედვით მეფეს ღმერთი გამოეცხადა, როგორც „მოხუცებული ვინმე სახედ ძუელისა დღეთაჲსა“, და დავით გურამიშვილის „ძველი დღის“ სიმბოლური გააზრების შესახებ (წერეთელი, 2005: 143-145). საგულისხმოა, რომ საგალობელში ნახსენებია „სუეტი ძუელი“, რომელიც ებრაელებს წინ უძღოდა ოთხი ათეული წლის მანძილზე და მოსეს წინამძღოლობით „უცთომელად“ ატარებდა. „სუეტი ძუელი“ ერთდროულად არის მამა ღმერთი და ის სვეტი, რომელმაც შემდეგში, ახალი აღთქმის ეპოქაში, ძე ღმერთის სიმბოლური ხატ-სახე უნდა მიიღოს.

„საკითხავსა“ და საგალობლებში ღმერთი სხვადასხვა სიმბოლური სახელით იხსენიება. შეიძლება დავასახელოთ „უფალი უფლებათა“, „ძუელი დღეთა“, „სვეტი ნათლისა“ და სხვანი, რაც ევანგელური და საღვთისმეტყველო სწავლებებიდან მომდინარეობს. მათი რაობის წვდომა ადამიანის დასაზღვრული გონებისათვის შეუძლებელია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ღვთისმეტყველთა ნააზრევში მოცემული ყოველი განმარტება მათი სიმბოლური და სახისმეტყველებითი გააზრების საფუძველს იძლევა.

ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავსა“ და საგალობლებში „სვეტი ნათლისა“ მრავალმნიშვნელობიანია და იგი რამდენიმე სიმბოლურ სახედ მოიაზრება:

ა) „სვეტი ნათლისა“ სამების სიმბოლოა და იგი სახეა სვეტი ცხოველისა: *„სამებასა წმიდასა, სამებით მნათობიერსა, უგალობდეთ, ვაქებდეთ, რამეთუ სახე ნათლისა მისისა სუეტი ცხოველი გამოგჳცხადა მორწმუნეთა“* (გულაბერისძე, 2007: 69).

ბ) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ტროპარში „სვეტი ნათლისა“ არის ქრისტესა და ღვთისმშობლის სიმბოლო: *„ჰ, დედაო და ქალწულო, ნათელო, ნათლის სუეტისა მსახველნელო, ხოლო სუეტად სახელდებულო, რომელსაცა შიშით გადიდებენ ქერობინნი და ჩუენცა მათ თანა ძრწოლით გიგალობთ და გაქებთ დაუცხრომელად“* (გულაბერისძე, 2007: 70). ტროპარი რთული სახისმეტყველებითი აზროვნებით გამოირჩევა, მასში „სუეტი“, ერთი მხრივ, ქრისტეს სახეებაა, მეორე მხრივ, იგი ღვთისმშობლის სიმბოლოა.

გ) საგალობელში სხვაგანაც არის „სუეტი“ საღვთისმშობლო სიმბოლურ სახელად მოხსმობილი: *„ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, წინასწარმეტყველთა და მამათაგან სუეტად ნათელად ცეცხლისად წმიდად და უბიწოდ მოსწავებულო“* (გულაბერისძე, 2007: 68).

დ) „სუეტი ნათლისა“ სვეტიცხოვლის ტაძრის მთავარი სვეტის სიმბოლოა: *„ყრმანი ბომონსა მის არმაზისასა დაიკლვოდეს, ხოლო აწ სუეტსა წინაშე ნათლისასა ნათელსიღებენ და ღაღადებენ: კურთხეულ ხარ შენ“* (გულაბერისძე, 2007: 80).

ნიკოლოზ გულაბერისძე „საკითხავში“ მოგვითხრობს, რომ მირიან მეფემ გაუმართლებლად მიიჩნია უფლის კვართის ადგილზე აღმართული ცხოველი სვეტის მოურიდებლად შეხება ხალხის მხრიდან, ზოგჯერ ურწმუნოთა შეხებაც, ვიდრე იგი ჩვეულებრივად იხილვებოდა თვალით, და იგი სიწმიდის ხელშეუხებლობის, დაცვის აუცილებლობის

გამო ფიცრით დაფარა, ხოლო მასთან რწმენით მისვლა ყველას შეეძლო და ყველას მიემადლებოდა ის, რაც სურდა. მოგვიანებით, როდესაც ფიცრის არამდგრადობის გამო სრულიად გაშიშვლდა წმიდა სვეტი ცხოველი, წმ. მეფე მირიანის ძემ რევმა გადაწყვიტა ქვითკირით ამოშენება კვართის დაფვლის ადგილისა და მეშვიდე სვეტის აღმართვის ადგილისა მისი დაცვის მიზნით. მისი დაფარვის მიზანი ის რწმენა იყო, რომ ფიზიკური შეხება კი არაა მთავარი, არამედ მასთან რწმენით მისვლა! დავიმოწმებთ ტექსტს: *„—რევ, ძე მირიან მეფისაჲ, შეშინდა უკუე მეფობასა შინა მისსა, ნუუკუე სრულიად განშიშვლდეს სუეტი იგი წმიდაჲ სამარადისოჲსაგან ფიცართა მათ და ნათლისა და წარჰარვისა და ამის მიზეზისათჳს განიზრახა, რაჲთა სრულიად ქვითკირითა აღმოქმნას გარემო სუეტისაჲ მის, რომელიცა უკუე ესე საქმით შეუდგინა განზრახვასა და სრულ-ყო. და ესრეთ ვიდრემე ჰგიეს მოდღეინდელად დღედმდე, რამეთუ ურიცხუნი და უფროჲსნა სასწაულნი მაშინცა იქმნნეს, რაჟამს-იგი მოსდეს გუამსა მას სუეტისა ცხოველისასა და შემდგომითი-შემდგომად არაოდეს მოკლებულ არიან სასწაულნი და დიდებულებანი სუეტისა ცხოველისანი სამარადისონი, უკუეთუმცა რაჲ ვის ყოვლად ჰქონებოდა გულისკმის-ყოფაჲ მგონებლობით აღწერა უმჯობესისათჳს სათანადოდ მრჩობლ ორკერძოთაჳ საცხორებელთა — სულ — სხეულობითთა, შემდგომისათჳს ჟამისა სახარულევანად სულთა სასუფეველისა ტრფიალთა, რაჲთა შემდგომნი ნათესავნი წარკითხვითა მათითა ნათელმყოფელსა სულისასა ნუგეშინისცემასა მოირეწდენ“* (გულაბერისძე, 2007: 48-49). ნიკოლოზ გულაბერისძის საგალობლის მიხედვით, „სუეტი ცხოველი“ მცველია ქართველებისა და საქართველოსი: *„გისაროდენ შენ, სუეტო წმიდაო, ებგურო და მცველო ჩუენო და შვილთა შენთაო, რომელნი, ჩუენცა, შენითა დიდებითა ნეტარ ვიქმნებით“* (გულაბერისძე, 2007: 66).

მწერალი შენიშნავს, რომ ბევრს გასჩენია ნაკლებმრწმენობის შედეგად კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის ამ კონქში დაფარული. ამასთან დაკავშირებით ნიკოლოზ გულაბერისძე მოგვითხრობს ცხოველი სვეტის ერთი სასწაულის შესახებ, რომელიც წმ. მეფე დავით აღმაშენებელს გადახდა თავს და რამაც დავითის თანამედროვეთა ყურადღება მიიპყრო. ნიკოლოზი გვიამბობს, რომ დავით აღმაშენებელი ერთხანს განდრეკილობდა და აინტერესებდა, თუ რა იყო ამ კონქში, რომელსაც ხალხი თაყვანს სცემდა. ღამით მან ნახა ჩვენება, რასაც მწერალი სახისმეტყველებითად აღწერს:

„ხოლო მას ღამესა მირულებულსა ეჩუენა ესე სახედ, ვითარმცა ამას სუეტსა ზედა ზე თავსა მჯდომარე იყო მოხუცებული ვინმე სახედ ძუელისა დღეთაჲსა და ბრწყინვალებისაგან ნათლისა მის, რომელ შანთნი ცეცხლისანი ჰკრთებოდეს ელვის სახედ, თუალნი კაცობრივნი ვერ შემძლებელ იყვნეს განცდად პირსა მისსა ყოვლადვე, და ვითარ განკვრვებულ იყო ხილვასა მისსა მეფე შეშინებული, კმა-უყო მან ზედაჲთ საშინელებით და ჰრქუა:

— დავით, დავით, არა უწყია, თუ ვინა ვარ აქა შინა, რომელსა-ესე მხედავ? და ესე უწყოდე შენ და ყოველთა, რამეთუ რომელსა აქუნდეს სასოებაჲ ჩემდა მომართ მტკიცე, არაოდეს სირცხვლეულ იქმნეს და ნუ ურწმუნოებ ჩემდა მომართ ყოვლადვე, რამეთუ რომელნი ურწმუნოებდენ, მიიღონ თავისა თჳსისა სასჯელი“ (გულაბერისძე, 2007: 55-56).

დავით მეფე ღამითვე გაუდგა გზას ნაჭარმაგევიდან სვეტიცხოვლისაკენ და დილაადრიან მივიდა ტაძარში, მუხლმოდრეკილი ცრემლებით ალტობდა იატაკს და შენდობას ითხოვდა ღვთისაგან. კათოლიკოს-პატრიარქი იოანე და სხვა სასულიერო პირებიც მეფესთან ერთად ლოცულობდნენ. ამ სასწაულზე ყურადღება გაამახვილა ლ. გრიგოლაშვილმა წმიდა დავით აღმაშენებლის საგალობლის ანალიზისას (გრიგოლაშვილი, 2005: 95). იგი განიხილა ლ. წერეთელმა, რომელმაც საგულისხმო ინტერპრეტაცია მისცა ხსენებულ ეპიზოდში საღვთო სახელს „ძეული დღეთა“ (წერეთელი, 2005: 143-145). მან იგი სამების სიმბოლურ-სახისმეტყველებით სახელად მიიჩნია და, აქედან გამომდინარე, წმინდანი მეფის ხილვაში წარმოსახული „მოხუცებული ვინმე სახედ ძეულისა დღეთაჲსა“ სამებად გაიაზრა. ყველა ეს ეპიზოდი სასწაულის აღწერას, მისი სახისმეტყველებითი ფუნქციის წარმოჩენას ემსახურება.

ასევეა გამოყენებული ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავში“ მისი ცხოვრების ამსახველი ეპიზოდის გადმოცემისას საღვთო სახელად „მოხუცებული ბერიკაცი“. მროველი ეპისკოპოსის ტიმოთეს კურთხევისას ეპისკოპოსთა კურთხევის წესის დარღვევის შემდეგ ერთმა სარწმუნო ღვთისმოყვარე კაცმა ჩვენება ნახა და ღმერთი წარმოესახა „სახედ მოხუცებულისა ბერიკაცისა“.

ამრიგად, ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავისა“ და „გალობანი სუეტისა ცხოველისანის“ მიხედვით, „სუეტი ნათლისა“, „სუეტი ცხოველი“ პოლისემიურ სიმბოლოდ მოიაზრება. იგი არის 1. „შეერთებულისა ღმრთისმეტყველების“ მიხედვით, ღმერთის, სამების სახე-სიმბოლო; 2. „განყოფილისა ღმრთისმეტყველების“ მიხედვით, მამა ღმერთი; 3. ამავე პრინციპის მიხედვით, ქრისტე – ძე ღმერთი; 4. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი; 5. სვეტიცხოვლის მთავარი სვეტი, რომელიც მხოლოდ ღვთის ნებითა და წმიდა ნინოს ლოცვით, ძალისხმევით აღიმართა; 6. „სუეტი ნათლისა“, „სუეტი ცხოველი“ სიმბოლურად მცველია საქართველოსი და ქართველებისა; 7. დასასრულ, სვეტი ცხოველი ეწოდა საქართველოს მთავარ ეკლესიას, აღმართულს ქრისტეს კვართის დაფლვის ადგილზე.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სვეტი ნათლისა, სვეტი ღრუბლისა ქართულ (სხვა ქვეყნების) ჰაგიოგრაფიაში თეოფანიის გამოხატულებაა, რასაც მოწმობს თითქმის ყველა ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება. განსაკუთრებული ღირებულებისაა ამ თვალსაზრისით იოანე საბანისძის „წმ. აბო თბილელის წამება“ და გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“. საინტერესო ისაა, რომ ნათლის სვეტი, ღრუბლის სვეტი საერო მწერლობაშიც უმეტესად რელიგიური თვალხედვითაა დატვირთული და იგი მაცხოვრის ხატ-სახეს უკავშირდება. ამ თვალსაზრისით გამოირჩევიან შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ და დავით გურამიშვილის „დავითიანი“.

3. ზემოთ აღვნიშნეთ, სვეტიცხოვლის ტაძარი თორმეტი მოციქულის სახელობისაა, რასაც, აგრეთვე, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ღვთისმშობელი, აგრეთვე, მოციქულია და სწორედ მას ხვდა წილად საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება, რაც პირველ საუკუნეში წმ. ანდრია მოციქულმა და IV საუკუნეში წმ. ნინომ აღასრულეს.

რ. სირაძის სიტყვის თანახმად, სვეტიცხოვლის ტაძარი, „ქართველთა მიერ აშენებული, სულიერად გააზრებული მთელი სამყაროს პირველ წმინდა განსახოვნებად იქცა" (სირაძე, 2000: 20).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სვეტიცხოვლის ტაძარს უწოდებენ სიონსაც, რაც სიმბოლურადაა გასააზრებელი. ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: *„მოვიდეს სიონით მჴსნელი და მოაქციოს უღმრთოებისაგან იაკობი"* (ეს. 59, 20), რომლის ლოგიკური გაგრძელებაა მისივე სიტყვები: *„-უკუეთუ ილმო დედაკაცმან ერთსა შინა დღესა, ანუ იშვა ნათესავი ერთგზის, რამეთუ ილმო და შინა სიონმან ყრმანი თჳსნი"* (ეს. 66, 8).

წმ. ანდრია კრიტელმა თავის თხზულებაში „შობისათჳს ღვთისმშობლისა" ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელად მიიჩნია ესაიას წინასწარმეტყველებაში ნახსენები სიონი: *„და გამოირჩია უფალმან სიონი და სათნო-იყო სამკჳდრებელად იგი"* (მეტაფრასული... 1986: 149), რაც ფსალმუნთა სიტყვებსაც ეხმიანება: *„დედად სიონსა ჰრქუას კაცმან, რამეთუ კაცი იშვა მას შინა და თავადმან დააფუძნა იგი მაღალმან"* (ფს. 136, 5).

უფლისაგან სიონის გამორჩევა თავის სამკვიდრებლად სახისმეტყველებითი თვალსაზრისით ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წიაღში იესო ქრისტეს დავანების წინასახეა; ფსალმუნში ნათქვამიც ასევეა გასააზრებელი, ვინაიდან სიონს დედას უწოდებენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ სვეტიცხოვლის ტაძრის ორმაგად მოხსენიება — სიონი და თორმეტი მოციქულის სახელობისა — იერუსალიმის იმ ეკლესიის სახელწოდებებს იმეორებს, რომელიც სიონის ბორცვზეა აგებული და სადაც, გადმოცემით, ის სახლი მდგარა, რომელშიც მოციქულები შეიკრიბნენ სულიწმიდის მოფენისას, ამიტომაც ატარებდა იგი ორ სახელწოდებას — სიონსა და მოციქულთას, და, როგორც პირველნაგები ეკლესია, იწოდებოდა „დიდებულ სიონად, დედად ყოველთა ეკლესიათა". ასევე, მცხეთაში პირველაგებული ეკლესია - სვეტიცხოველი საქართველოსთვის არის „დედა ყოველთა ეკლესიათა" და „დიდი სიონი". აქედან გამომდინარე, ნათლად წარმოჩნდება მცხეთის, როგორც მეორე იერუსალიმის, ანუ ქართველთა იერუსალიმის, კულტუროლოგიური მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ შენიშნა, რომ მცხეთის ეკლესია ზოგჯერ საქართველოს სინონიმადაც გამოიყენებოდა, საქართველოს საპატრიარქო ზოგჯერ მცხეთის ან სვეტიცხოვლის საპატრიარქოდ მოიხსენებოდა (ჯაფარიძე, 1998: 171-172). ზემოთ დავიმოწმეთ რ. სირაძის აზრი, რომ „სვეტიცხოველი თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძარი იყო, მაგრამ მას ერქვა „სიონი". საქართველოში „სიონი" ეწოდებოდა ღვთისმშობლის ტაძრებს. ნიკოლოზ გულაბერისძე აღნიშნავს საქართველოს წილხვდომილობას ღვთისმშობლისადმი („ნაწილიცა იყო დედისა ღმრთისა"). ღვთისმშობელი ჩვენში წამოსასვლელად „განმზადებულ" იყოო, მაგრამ „ძემან და ღმერთმან მისმან დააყენა ამის საწადელისაგანო", ხოლო ღვთისმშობლის მისია წმ. ნინოს დაეკისრა.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, წმ. ნინო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნაცვლად აერცელებს ქრისტიანობას, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შთაგონებით წამოვიდა საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად. ამიტომ იგი მიჩნეულია არა მოციქულთა სწორად, არამედ, ზოგიერთი გვიანდელი ქართული წყაროს მიხედვით, მო-

ციქულადაც, რომელსაც მაცხოვარმა, იესო ქრისტემ, ძე ღმერთმა მიანიჭა მოციქულება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეშვეობით. ნიკოლოზ გულაბერისძე მისდევს ქართულ მწერლობაში დამკვიდრებულ ტრადიციას წმ. ნინოს მოციქულად მიჩნევის შესახებ. სახელდობრ, იგი ეყრდნობა წმ. ნინოს „ცხოვრების“ შატბერდულ-ჭელიშურ რედაქციას, რაც შენიშნული აქვს რ. სირაძეს. ამ რედაქციაში შემონახული ტრადიცია მომდევნო ხანებში შექმნილ ჰიმნოგრაფიულ თხზულებებშიც პოულობს ასახვას. ამიტომაც სიმბოლურია ის ფაქტი, რომ სვეტიცხოვლის ტაძარი თორმეტი მოციქულის სახელობისაა, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი იყო ქრისტიანობის გასავრცელებლად, ხოლო წმ. ნინო ახალი მოციქულია, რომელმაც ღვთის შეწევნით აღმართა ცხოველი სვეტი, ბრწყინვალე და ნათელი დედაბოძი. რ. სირაძის სიტყვით, „მოციქულებრივი იდეით სვეტიცხოვლის ტაძარს და უპირველესად სრულიად საქართველოს უკავშირდება ღვთისმშობელი, რომლის მონაცვლეა წმინდა ნინო“ (სირაძე, 1992: 109-135) და ამიტომ იგი საგალობლებში მოციქულად მოიხსენიება. ეს ტრადიცია გააგრძელა XIII საუკუნის I ნახევრის საქართველოს კათოლიკოსმა, ჰიმნოგრაფმა არსენ ბულმაისიმისძემ და წმ. ნინოსადმი მიძღვნილ საგალობელს უწოდა „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი“.

ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებებში სრულყოფილად წარმოისახება წმ. ნინოს მოციქულობა, ცხოველი სვეტის უხილავად აღმართვა საუფლო კვართის ადგილზე და „ცათა მობაძავი“ ტაძრის აგება.

ნიკოლოზ გულაბერისძე საგალობელში გვაწვდის ცნობებს წმ. ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობის შესახებ, როგორც საქართველოს განმანათლებელთა შესახებ: *„ვითარცა ორთა ქადაგთა სახეთა მდინარისათა დიდმან ანდრეა და ღირსმან ნინო წარრღუნეს ყოველი სიხენეშ(ი) კერპთაჲ ქართველთა თემისა. ეგრე სახედ ესე ორნი მდინარენი წარჰრღუნიან ყოველსა სიბილწესა და კეთილსა ნაყოფსა რწყვენ დაუცხრომელად“* (გულაბერისძე, 2007: 68). ნიკოლოზ გულაბერისძე ამ კონტექსტით ერთდროულად აღნიშნავს ქართველი ერის რჩეულობის, ცხებულების რამდენიმე ნიშანს: 1. საქართველოს ხვდა პატიჟი უფლის კვართის მის მთავარ ტაძარში მთავარი სვეტის ადგილას დავანებისა; 2. საქართველოს ეკლესია სამოციქულოა, აქ იქადაგა წმ. ანდრია მოციქულმა; 3. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრილია და, აქედან გამომდინარე, მას სულიერ მემკვიდრედ ჰყავდა ქალი, წმ. ნინო. საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვედრილობა ჩვენამდე მოღწეულ თხზულებათაგან პირველად „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ დასტურდება, რაც კორნელი კეკელიძემ განიხილა ნაშრომში „კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში“ (კეკელიძე, 1957: 116). ღვთისმშობელი ქართველი ერის შესახებ ამბობს: „და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყეველად მართლმადიდებლობისათჳს მათისა“ (ძეგლები, 1967: 21). ქართველი ერის ღმერთისაგან ცხებულება საგანგებო ცნებითაც არის გამოხატული X–XIII საუკუნეების მწერლობაში – „ერი საზეპურო“ (ამ ტერმინის შესახებ იხ. გულაბერისძე, 2007: 109-123). ნიკოლოზ გულაბერისძე

წერს: „გიხაროდენ, მომგებელო ერად საზეპუროდ ნათესავად წმიდად და სამეუფოდ" (გულაბერისძე, 2007: 68).

ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავისა" და საგალობელთა მიხედვით, როგორც ძველი აღთქმის ეპოქაში ისრაელი იყო რჩეული ერი ღმერთისა, გაქრისტიანების შემდეგ, სხვებთან ერთად, ღმერთმა ქართველი ერი გამოარჩია „ერად საზეპუროდ", რაც გამოიხატა საქართველოში, მცხეთაში, კერძოდ, უფლის კვართის დაფვლის ადგილას ცხოველი სვეტის აღმართვით, ხოლო შემდეგ ქვეყნის უპირველესი ტაძრის, „ცათა მობაძავი" ტაძრის აგებით, რომელიც ღვთაებრივი ნათლითაა გაბრწყინებული. ღვთაებრივი ნათლის სვეტის ჩამოშვებით შეირჩა და გამოჩნდა უფლის კვართის სამკვიდრებელი ადგილი, რომელიც წმ. ნინოს მოსვლამდე უჩინარი და უცნობი იყო. წმ. ნინოს მინიშნებით, რაც მას ღმერთისაგან ეუწყა, მიკვლეულ იქნა უფლის კვართის დაფლვის წმინდა ადგილი ღვთის სახლის ასაგებად. ყოველივე ზემოთქმული ნათლად აჩვენებს, განვითარების რა საფეხურები განვლო ეროვნულმა და ქრისტიანულმა ცნობიერებამ, როგორ აისახა და როგორ განვითარდა მესიანური იდეა საუკუნეთა მანძილზე.

ნიკოლოზ გულაბერისძე „საკითხავსა" და საგალობლებში მესიანური იდეების წარმოსახვით თავისი ეპოქის, თამარის ეპოქის სულისკვეთებას ეხმიანება და ეროვნული ცნობიერების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის. მართალია, მესიანიზმი თავისი არსით კაცობრიობის მხსნელზეა ორიენტირებული, მაგრამ, სხვა ქვეყნების დარად, საქართველოშიც ეროვნულ კონცეფციად ჩამოყალიბდა. მისი განვითარება და არსებობა ქართული ეროვნული ცნობიერების გამოკვეთას მიუთითებს, იგი იმის დასტურიცაა, რომ ქრისტიანული რელიგია, ერისათვის სულიერ მხსნელად მოვლენილი და მიღებული, ეროვნულ ცნობიერებას ავითარებს და აღორძინებს, მიუხედავად იმისა, რომ მესიანიზმი ეთნოფილეტიზმის გამოხატულებაა.

ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი" თხრობაა ცხოველი სვეტის შესახებ, ხოლო საგალობლები მისი ქებაა, შესხმაა. ქართველთათვის (არა მხოლოდ მათთვის) ცხოველი სვეტია მიჩნეული ყოველი სიკეთის სიმბოლოდ და საწყისად. ცეცხლის ან ნათლის სვეტი ღმერთის სიმბოლოა, ხოლო ღვთისმშობლისაგან შობილი განკაცებული ძე ღვთისა მიუძღვის კაცობრიობას ღვთაებრივი ნათლისაკენ, ზეცისაკენ. არმაზის კერპთა მსხვრევა, ბომონთა დამხობა ქართველთა სულიერი აღდგომის დასაწყისი იყო, რაც ნიკოლოზ გულაბერისძემ სახისმეტყველებითად გარდათქმული მიაწოდა მსმენელსა თუ მკითხველს: *„ეჰა საღმრთოჲ შეცვალებაჲ ესე, საყდარი არმაზის წილ და მიჰრონი ნაგებთა წილ, ხოლო ბომონთა წილ სუეტი წმიდაჲ ცხოველი მოგუანიჭა ძემან ღმერთისამან"* (გულაბერისძე, 2007: 75). ცხოველი სვეტი „წარმოუცენებს" ქართველ ერს მირონს, სულიერ ნათელს აზიარებს, ნაცვლად „ძველი და მამული სჯულისა", ქართველ ერს იმედად მოევლინა მაცხოვრის კვართი, მის ადგილზე ამოსული ნაძვი ლიბანისა, გარდასახული სვეტად ცხოველად და მისი მოკვეთის შემდეგ იქ აღმართული წმინდა საყდარი.

ლიტერატურა:

1. წმ. ანდრია კრიტელი, დიდი კანონი, ნეკრესის ეპარქიის გამოც., 2002.
2. გრიგოლაშვილი, 2005 – ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბ., 2005.
3. გულაბერისძე, 2007 – ნიკოლოზ გულაბერისძე, თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან სულავამ, თბ., 2007.
4. წმ. იოანე ოქროპირი, 1993 – წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, II, თბ., 1993.
5. კეკელიძე, 1957 – კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957.
6. კუჭუხიძე, 1998 – გ. კუჭუხიძე, უფლის კვართის სიმბოლიკისათვის, ჟ. ცისკარი, 1998, №3.
7. სირაძე, 1992 – რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992.
8. სირაძე, 2000 – ქრისტიანული კულტურის საფუძვლები, თბ., 2000.
9. ლიხაჩოვი , 1987 – Лихачев Д.С. Заметки о русском. // Лихачев Д.С. Избранные работы в трех томах. Т. 2. Л., 1987.
10. ლოსევი, 1980 – Ф. Лосев, История античной эстетики, поздный эллинизм, М., 1980.
11. მეტაფრასული, 1986 – ძველი მეტაფრასული კრებულები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნარგიზა გოგუაძემ, თბ., 1986.
12. მოდებაძე, 2007 – И. Модебадзе, Символизм образов природных стихий в кавказской лирике русских романтиков. Доклад на I симпозиуме . Тб., 2007.
13. ფლორენსკი, 1990 – П. Флоренский, Столп и утверждение истины, 1, М., 1990.
14. სულავა, 2003 – ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003.
15. ძეგლები, 1967 – ძველი ქართული აგიორგაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967.
16. წერეთელი, 2005 – ლ. წერეთელი, „ძველი დღეთა“ (მამა-ძეობა) დავით აღმაშენებლის ცხოვრებასა და „დავითიანში“, კრებ.: დავით გურამიშვილი – 300, ლიტერატურის ინსტიტუტის გამოც., 2005.
17. ჭელიძე, 1997 – ე. ჭელიძე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიიდან, საქართველოს საპატრიარქო, 1997, №1.
18. ჯაფარიძე, 1998 – მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, II, თბ., 1998.